

# ხეხილის სანერგე მეურნეობის მოწყობა (რეკომენდაციები)

10.10.2025 მეზღაღობა



**საქართველოში უძველეს დროიდან ხეხილის სარგავ მასალას ნერგს უწოდებდნენ, ხოლო მეურნეობას ან მეურნეობის ნაწილს, სადაც ხეხილის აღზრდას აწარმოებდნენ, სანერგე უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს დიდი ყურადღება ექცეოდა, მან განვითარება ჰპოვა XX საუკუნის პირველ ნახევარში.**

მანამდე, XIX საუკუნის ბოლოდან, აღსანიშნავია გორის მაზრის რამოდენიმე სოფელში მოღვაწე მეხილეთა საქმიანობა, რომლებმაც სათავე დაუდეს სანერგე მეურნეობების ჩამოყალიბების საქმეს.

კერძოდ, ცნობილმა მეზღაღემ ისაია ფურცელაძემ, რომელსაც კარგად მოწყობილი სანერგე მეურნეობა ჰქონდა სოფელ მერეთში, ასევე ნიკო კეცხოველმა, რომელსაც აგრეთვე კარგად მოწყობილი სანერგე მეურნეობა ჰქონდა სოფელ გყვიაგში, სიმონ ხეთაგუროვმა, რომელსაც აგრეთვე ხეხილის სანერგეები ჰქონდა სოფელ ნიქომსა და კასპში, ძმებმა ავსარქისოვებმა, რომლებსაც შესანიშნავი სანერგე მეურნეობა ჰქონდათ სოფელ სკრაში.

აღნიშნულმა სანერგეებმა გადამჭრელი როლი შეიგანეს არა მარტო მეხილეობის სარგავი მასალით უზრუნველყოფის, არამედ ხეხილის სანერგის აგროტექნიკის დამუშავებისა და სრულყოფის, აგრეთვე კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

შემდეგში, მეხილეობის განვითარების ტემპის გადიდებასთან ერთად გაიზარდა როგორც ხეხილის სანერგეთა რაოდენობა, ისე ცალკეულ სანერგეებში მორიგი მინდვრით დაკავებული ფართობები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაღალი ხარისხის ნერგების წარმოებასა და შესაბამისად მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებას.

### **ხეხილის სანერგე მეურნეობის და ბაღის გაშენების პროექტირება**

ხეხილი, როგორც მრავალწლიანი კულტურა, მოითხოვს ბაღის გაშენების და სანერგე მეურნეობის დაპროექტებას, რომ არ იქნეს დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომები.

პროექტის შედგენისათვის საჭიროა წინასწარ შესწავლილი იქნეს სანერგის მოწყობის და ბაღის გასაშენებელი ტერიტორია, ნიადაგები, მიკროკლიმატი, რელიეფი. ბუნებრივი მცენარეული საფარი. პროექტში აღნიშნული უნდა იყოს ფართობი, საძირე, ჯიში და ნამყენი ნერგის წარმოების მოცულობა.

ხეხილის სანერგის და ბაღის გასაშენებლად პირობების დადებით გადაწყვეტილების შედეგად პროექტი წარედგინება სანერგის და ბაღის მეპაგრონეს. პროექტში მოცემული უნდა იყოს სანერგის ტიპი, სანერგისათვის საჭირო ფართობი, სანერგის განყოფილებათა ურთიერთმეფარდება, თესლბრუნვის სქემა, ტერიტორიის ორგანიზაცია, თავისი საზღვრებით, ნიადაგის რუკა, სარწყავი არხები და გზები.

ტერიტორია ნაწილდება კვარტლებად და თარგებად. სასურველია შეირჩეს ქარებისაგან დაცული ადგილი. სანერგის და ბაღის გაშენებამდე 4-5 წლით ადრე უნდა გაშენდეს ქარსაფარი ბოლი.

ხეხილის სანერგისათვის საუკეთესოა ალუვიური ქვეთიხნარი, სილნარევიანი, ჰუმუსით მდიდარი შავმიწები, წაბლა, მდელოს ყავისფერი სტრუქტურის ნიადაგები. ნაკვეთის დაქანება არ უნდა აღემატებოდეს 3<sup>0</sup>-5<sup>0</sup>-ს, სანერგე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი და სასმელი წყლით.

სასურველია სანერგე მოეწყოს საგრანსპორტო გზასთან ახლოს, რაც ხელსაყრელია როგორც სანერგის მეპაგრონის, აგრეთვე ნერგის შეძენის მსურველისათვის.

### **სანერგის მოწყობა**

ხეხილის სანერგის მეპაგრონემ, ფერმერმა, უნდა განსაზღვროს წინასწარ რა ტიპის სანერგე სურს რომ მოაწყოს. არის ღრობებითი და მუდმივი სანერგეები. ღრობებითი სანერგეები ფუნქციონირებენ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში გარკვეული ხნით სარგავი მასალის საწარმოებლად.

მუდმივი ეწოდება სანერგეს, რომელიც ათეული წლობით მოქმედებს, რაც არის დადებითი ფაქტორი სანერგეში დასაქმებული კადრის აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

სანერგეს აუცილებელია უნდა ჰქონდეს გექნოლოგიის სპეციალური შენობა; სამყნობი სახელოსნო, ზამთრის მყნობის ჩასაგარებლად, ასევე თესლის გადასამუშავებელი და გასამშრობი საამქრო, კალმების თესლის სტრატიფიკაციის ოთახი; დახურული გრუნტის ნისლწარმოქმნელი დანადგარი-შენობა, საფუმიგაციო ოთახი, სარგავი მასალის შესანახი საკანი.

ყოველი სანერგე მეურნეობის მფლობელი თვითონ განსაზღვრავს რა შენობა-ნაგებობა სჭირდება ადგილობრივი პირობების და ნერგის გამოყვანის გექნოლოგიის გათვალისწინებით.

ერთი ჰექტარი სანერგის ფორმირების, ორწლიანი ნამყენი ნერგის მისაღებად საჭიროა სულ ცოცა – 24 ჰექტრამდე სასარგებლო მიწის ფართობი. ეს განაპირობებს ნერგის ჯიშობრივ სიწმინდეს, საძირეთა სადღის ცოდნას და წარმოდგენა იქმნება ზონების მიხედვით ჯიშების დარაიონებაზე. ეს ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გამზრდას და სარგავი მასალის ხარისხის გაუმჯობესებას.

კერძო ფირმების და ოჯახური სანერგეების გაჩენამ მთლიანად შეცვალა სანერგე მეურნეობის დანიშნულება, დაქუცმაცდა, დანაწევრდა სახელმწიფო სანერგეები. ამიგომ შეიცვალა მათი სტრუქტურა. გაუქმდა ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ხეხილსანერგეები.

ამჟამად მოქმედებს პატარა ფართობებზე კომპლექსური ხეხილსანერგეები, რომელიც აწარმოებს ხეხილის რამოდენიმე კულტურის სარგავი მასალის გამრავლებას, თუმცა არც ეს არის სრულყოფილი, რადგან სანერგეები არ მოქმედებენ ცალკეული ზონისათვის საჭირო სარგავი მასალის წარმოებისათვის.

სანერგის მფლობელმა შესაძლებელია შექმნას სპეციალიზებული ხეხილის სანერგე კულტურათა ჯგუფების მიხედვით, ბუნებრივი პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ხეხილის სანერგე მეურნეობა მოითხოვს განსაკუთრებულ აგროტექნიკას ნამყენი ნერგის აღზრდისათვის, ცალკეულ ნაკვეთებსა და სტრუქტურას. სანერგის ორგანიზაციონებმა უნდა შექმნან სხვადასხვა დანიშნულების განყოფილებები (იხ. ცხრილი 1)

**შიწის ნაკვეთი ხეხილის სანერგე მეურნეობის ორგანიზაციისათვის /პ/**  
**ცხრილი 1.**

სანერგის ნაკვეთები	განსაზღვრული ფართობი, კა	თესლობრუ ნვის მინდორის რაოდენობა	თესლობრუ ნვის ფართობი, კა	ქარხაფარი ზოლის, სარწყავი კვლების და გზების ფართობი, კა	საერთო ფართობი კა
1 ფორმირების განყოფილება	1	5-6	5-6	2	13-15
2 სათესი სკოლა	0,4	3	1,2	0,8	5,4
3 კლონური საძირების სადედე	1	-	-	0,25	1,25
4 საკალმე (საჯიშე) სადედე	2-4	-	-	0,2-0,5	2,2-4,5
5 სათესლე სადედე ბაღი	0,8-1,5	-	-	0,1-0,15	0,9-1,20
6 ჩითილების აღზრდის ფართობი	0,4	-	-	-	0,4
7 ზამთრის მცნობის ნაკვეთი	0,3	0,2	0,6	0,015	1,115
8 ნისლის შემქმნელი დანადგარი	0,2	-	-	-	0,2
9 მწვანე დაკალმების მინდორი	0,2	-	-	0,05	0,25
10 ნერგის მისამარხი ნაკვეთი	0,2	-	-	-	0,2

**შენიშვნა:**

**1. გასამრავლებელი განყოფილება, საძირეთა გამრავლების ნაკვეთი**

- ა) სათესი სკოლა, სადაც ითესება თესლი და მიიღება ნათესარი საძირეები. აღნიშნულ ნაკვეთს ეწოდება სათესი სკოლა;
- ბ) საძირეთა სადედე, სადაც საძირეებს ვეგეტაციურად ამრავლებენ.

**2. ფორმირების განყოფილება, სადაც გარდება მცნობა და ნამყენის აღზრდა. ეს განყოფილება შედგება ორი ნაკვეთისგან:**

- ა) პირველი წლის მინდორი \_ საძირეებზე სანამყენე ნაკვეთი;
- ბ) მეორე მინდორი \_ ერთწლიანი ნამყენი ნერგის აღზრდის ნაკვეთი;
- ც) მესამე წლის მინდორი ერთწლიანი ნამყენის ფორმირების ანუ ვარჯის ჩასახვის ნაკვეთი.

**3. სადედე განყოფილება:**

- ა) შედგება სათესლე სადედე ბაღისაგან, სადაც მზადდება თესლი საძირეების მისაღებად;
- ბ) საკალმე სადედე ბაღი – სადაც იჭრება კალამი ე.ი. საკვირგე მასალა.

აუცილებელია სადედეები მოეწყოს სანერგეებთან, რათა უზრუნველყოფილი იყვნენ საჭირო რაოდენობის კვირგით, დაცული იყოს ჯიშების სიწმინდე. კალმის დამამზადებლები კარგად უნდა ცნობდნენ და ერკვეოდნენ ჯიშებში, რომ გამორიცხული იყოს გაუგებრობა.

### **სანერგისათვის ნიადაგის მომზადება**

სანერგისათვის გამოყოფილი ნაკვეთი უნდა გაიწმინდოს არასასურველი ნარჩენებისაგან, გაკორდებული ნიადაგი საძირეებისათვის უნდა მოიხნას 30-40 სმ სიღრმეზე ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს პირველ ნახევრამდე. ხვნის წინ შეგანილი უნდა იყოს ნაკელი 40 ტ/ჰა, ფოსფორი 40 კგ/ჰა და კალიუმი 30 კგ/ჰა.

განოყიერებისათვის სასურველია გამოყენებულ იქნას მწვანე სასუქი-სიდერატები, რისთვისაც გაზაფხულზე უნდა დაითესოს პარკოსნები, ხოლო მაფხულში ჩაიხნას.

ორი წლის განმავლობაში ითესება სათოხნი კულტურები, მესამე წლიდან ფართობი გამოიყენება სანერგისათვის. თუ ნიადაგი გაკორდებულია, მისი ათვისება ერთი წლით ადრე უნდა იყოს გათვალისწინებული. კორდი სანერგისათვის საუკეთესო წინამორბედი.

სანამყენე მინდორზე ნიადაგი უნდა მოიხნას ივლის-აგვისტოში საპლანგაჟე გუთნით 50-60 სმ სიღრმეზე, მოხვნის წინ შეგანილი უნდა იქნეს ნაკელი 25-30 ტონა, 40 კგ ფოსფორი და 30 კგ კალიუმი ჰექტარზე გადაანგარიშებით.

ხეხილოვანი კულტურების თესლის თესვის და საძირეების დარგვის წინ უნდა მოხდეს ნაკვეთში ნიადაგის კულტივაცია ფართე მოღებვის განის კულტივატორით 12-15 სმ სიღრმეზე და შემდეგ იგი დაიფარცხოს.

დამუშავებული ნიადაგის ღროს საჭიროა მოიხნას სანერგის პირველი მინდორი 30-35 სმ სიღრმეზე. რაც სრულებით საკმარისია ნათესების ნორმალური ზრდისათვის. თესლი და საძირე გაფხვიერებულ ნიადაგში უნდა მოთავსდეს.

ფორმირების განყოფილებაში წარმოდგენილია მეორე და მესამე წლის ნამყენი ნერგი, მომავალი ვარჯის ჩასახვის და ფორმის მიცემისათვის აუცილებელია სადედე ნარგაობები გაშენდეს სანერგეებთან, რომ უზრუნველი იყოს საჭირო რაოდენობის კვირგით ან კალმით, დაცული იყოს ჯიშური სიწმინდე.

სამყნობი მასალის დამამზადებლები კარგად უნდა ცნობდნენ და ერკვეოდნენ ჯიშებში, რათა გამორიცხული იყოს გამოუსწორებელი შეცდომა და გაუგებრობა. აუცილებელია შემოღებული იქნეს სანერგის წიგნი.

**რეკომენდაციების ავტორები:** იუზა ვასაძე; გივი ბაღრიშვილი; პროფესორი; ვაჟა კვალიაშვილი/სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია/